PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დ ა ს კ ვ ნ ა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით კუპატაძე

წევრი: მზია ბაკურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს „არსი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2020 წლის 16 ნოემბრის, MES 0 20 0001096629** ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე დავით კუპატაძე, ჯგუფის წევრი მზია ბაკურიძე) დაევალა, შპს „არსი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საჭიროდ ჩათვალა დაწესებულებიდან დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რის საფუძველზეც შედგა გასაუბრების განრიგი.

2020 წლის 3 დეკემბერს გასაუბრების განრიგის დაცვით განხორციელდა დისტანციური ჩართვა კოლეჯთან. შედგა გასაუბრება დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გაესაუბრნენ „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და მოდულების განმახორციელებელ პირებს. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, განიხილეს როგორც პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა შესაბამის პასუხისმგებელ პირთან. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი. შედგა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

IV. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

1. დაწესებულების ვებ-გვერდზე ატვირთული დოკუმენტები წარმოდგენილი იყო ვორდის ფაილში. დოკუმენტების გაუთვალიწინებელი ცვლილებებისა და დაზიანების თავიდან აცილების, უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დოკუმენტები მოამზადოს პედეეფ ფაილების ან სხვა ისეთ ფორმატში, რომლის მარტივად დაზიანება შეუძლებელი იქნება - **შესრულებულია;**

2. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ პროფესიულ მოდულებში, სასწავლო რესურსი მითითებულია გაურკვევლად, ანუ გადაბმულად, სიტყვებისა და ასოების გამოტოვების გარეშე, რაც რთულად იკითხება და ძნელად გასააზრებელია. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული დოკუმენტაციის ტექნიკურად გასწორების შესახებ - **შესრულებულია**

3. პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი საშუალებები და პაციენტის გასასინჯი (სამანიპულაციო) მაგიდა განთავსებულია სხვადასხვა ოთახში. რეკომენდებულია, პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი ყველა საშუალება განთავსდეს ამ მიზნისათვის გამოყოფილ ერთ ოთახში - **შესრულებულია**

4. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია თითოეულ პოზიციაზე საშტატო განრიგის მიხედვით საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაწერის შესახებ, რათა თანამშრომლის დაქირავების პროცესი უფრო გამჭვირვალედ წარიმართოს - **შესრულებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 2.1.1. (4)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში („ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025), „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ (0911021), „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (0911012), „მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“ (0911010), „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები (0911013)) **გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები ვერ უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას.**

VI.რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 2.1.1. (4)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები მოიყვანოს შესაბამისობაში მოდულის სწავლის შედეგებთან.

განმავითარებელი რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 2.1.1. (4)

- **მოდულში ,,მიკრობიოლოგიის საფუძვლები” (0911008) - სტანდარტულ ნაწილში მითითებული სასწავლო რესურსებიდან <u>ამოიღოს სამართლებრივი აქტები,</u>** კერძოდ: 5. სამართლებრივი აქტი - სამედიცინო ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ; 6. სამართლებრივი აქტი - ზოგიერთი სამედიცინო ჩარევის ჩატარებამდე პაციენტისაგან წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღების შესახებ; 7. სამართლებრივი აქტი - სამედიცინო დაწესებულებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სტუქტურისათვის ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების შესახებ; 8. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ; 9. „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა“ (გზამკვლევი) - მ. კვაჭაძე, ი. მანჯავიძე, ნ. კვანტალიანი, ნ. მირზიკაშვილი, ნ. გვენეტაძე, გ. აზაურაშვილი; 10. „ინფექციური კონტროლი სამედიცინო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებებში“ ავტორთა ჯგუფი - პ. იმნაძე, დ. წერეთელი, ე. ცერცვაძე, ი. ბურჯანაძე, მ. დადუა, ნ. გოგაძე, მ. გელენიძე, ქ. კინწურაშვილი, გ. გეგელაშვილი, 2008 წ.

ქვესტანდარტი 2.2.1. (3)

- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგი კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებების მიმართულებით.

ქვესტანდარტი 2.4.2. (2)

- შპს „არსი“-ს სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/ სტუდენტთა ცნობარი/ (ბრძ. N 1- 1-60, 26.10.2020) VI თავის, ბ) ქვეპუნქტი და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (ბრძანება N 1-18, 25.04.2016) მეხუთე თავის კ) პუნქტი ერთმანეთის თანხვედრაში უნდა იქნას მოყვანილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF EraserFree

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძ N 1-64, 04.11.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N 4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	32 სტუდენტი (1 სასწავლო წელიწადში - 16 პროფესიული სტუდენტი) თეორიული და სასწავლო პრაქტიკული სწავლებისთვის შპს „არსის“ მისამართზე: შარტავას გამზ N 4 (პრაქტიკის განსახორციელებლად 2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free	სააფთიაქო ქსელის მისამართი: 1. ემ-ფარმას 3 ფილიალი რუსთავში; 2) „იბერიფარმა+“ -ის 2 ფილიალი რუსთავში.
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☑
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	☑
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

შპს „არსი“ 2017 წლიდან ახორციელებს „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროგრამას ავტორიზებულ რეჟიმში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ არსებული პროფილური ხაზის გაგრძელებაა, რომელიც შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. მისიით განსაზღვრულია სპეციალისტების მომზადება ჯანდაცვისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით რუსთავსა და ქვემო ქართლის მასშტაბით. კოლეჯის სტრატეგიული მიზანია პროფესიული პროგრამების შეთავაზების შესაძლებლობები დაინტერესებული პირებისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ასევე, 2020 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ახალი მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“-ს ინიცირებას. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომელიც 6 ძირითადი ფაქტორით არის განსაზღვრული, რომელთაგან მნიშვნელოვანია - შრომის ბაზრის ხვედრითი წილი სააფთიაქო სექტორის დიდ პოტენციალს მოიცავს. როგორც დაწესებულების მიერ ჩატარებულმა შრომის ბაზრის კვლევამ და ასევე კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ წარმოებულ გამოკითხვებმა აჩვენა - სააფთიაქო ქსელებს ფარმაცევტული პროფესიული განათლების კადრის საჭიროება და მოთხოვნა აქვთ.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“-ს დაშვების წინაპირობა (სრული ზოგადი განათლება), სრულ შესაბამისობაში მოდის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან, კერძოდ, კოლეჯს აქვს შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა პროგრამაზე მიღების წესი, რაც პროფესიის შესაბამის დისციპლინებში ზეპირი გასაუბრების/ან და წერილობითი წესით შერჩევა-მიღებას ითვალისწინებს. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია *(შპს „არსის“ სასწავლოპრო ცედურათა წესი დებულებათა კრებული/ /სტუდენტის ცნობარი/ ბრძანება N1 – 1-60 /26.10.2020)* კერძოდ, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - პროგრამის ხანგრძლივობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ერთ სტუდენტზე პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობის შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები საგანმანათლებლო პროგრამებისათვის არის შემდეგი, კერძოდ: სასწავლო ფართი (A, B და C გარემო) უნდა იძლეოდეს სამუაო საათებში (ორ ცვლაში) სასწავლო პროცესით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას. სასწავლო ფართი 1 სტუდენტზე განისაზღვრება 1 პროგრამისათვის განკუთვნილი სასწავლო გარემოს ფართის, დატვირთვის და თითოეულ სასწავლო ოთახში განთავსებული სასწავლო ინვენტარის რაოდენობის გათვალისწინებით - არანაკლებ 1 კვ.მ - ერთ სტუდენტზე A სასწავლო გარემოს შემთხვევაში, გათვალისწინებული სასწავლო ფართის (A, B და C გარემოს) დატვირთვისუნარიანობა ცვლებში, პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა 20 სტუდენტზე და პრაქტიკის ობიექტის მიღებისუნარიანობა. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება წარმოდგენილია შპს „არსის“ სასწავლო პროცედურათა წესის III ნაწილის 4 და 5 პუნქტის შესაბამისად.

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A, B, C (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო, მისამართზე - ქ. რუსთავი, შარტავას გამზ N 4.

A გარემო-სასწავლო აუდიტორია №4 - 35 კვ.მ ფართი, 16 პროფესიული სტუდენტისათვის (მაქსიმალური - 18 ადგილი), თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით. დამატებით, აღნიშნულ სივრცეში განთავსებულია სიმულაციური აფთიაქი, შესაბამისი აღჭურვილობით.

B გარემო - კომპიუტერული კლასი - (ოთახი #2) 15 კვ.მ ფართი, სადაც განთავსებულია 10 პერსონალური კომპიუტერი, რომელიც სრულადაა აღჭურვილი მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება-2“ განსახორციელებლად. B სასწავლო გარემოს შემთხვევაში ფართის მონაცემებთან ერთად მხედველობაში მიიღება ერთ სტუდენტზე 1 პერსონალური კომპიუტერის/ნოუთბუქის არსებობა. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ აღნიშნულ ფართს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

იყენებენ „საექთნო საქმის“ პროგრამის ფარგლებშიც და მათივე განმარტებით B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა გამტარუნარიანობისათვის იფუნქციონირებს 2 პარალელური ჯგუფი.

C გარემო - სასწავლო-პრაქტიკული აუდიტორია №8 (ლაბორატორია) - საერთო ფართით 35 კვ.მ განკუთვნილია 16 პროფესიული სტუდენტისათვის. ლაბორატორიულ კაბინეტში განთავსებული არის - სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო ინვენტარი.

საგანმანათლებლო პროგრამის (8 პროფესიული მოდულის) პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები ორ სააფთიაქო ქსელთან, ქ. რუსთავში ორ პრაქტიკის ობიექტთან - შპს „ემ ფარმა“-სთან (3 ფილიალში, თანამშრომლობის ხელშეკრულება, 30.10.2020) და შპს „იბერიფარმა+“-სთან (2 ფილიალში, თანამშრომლობის ხელშეკრულება, 28.10.2020).

თანამშრომლობის ხელშეკრულების მიხედვით პრაქტიკის ობიექტების დატვირთვისუნარიანობა (სულ 5 ფილიალი) თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე - 1. შპს „ემ ფარმას“ რუსთავის ფილიალებში - 12 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა; 2. შპს „იბერიფარმა+“-ის რუსთავის ფილიალში 8 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა. ერთ ჯგუფად მიღებაზე 1 ფილიალში 4 საათიანი დატვირთვით 1 სამუშაო დღეში - იფუნქციონირებს 2 პარალელური ჯგუფი. - რითიც პრაქტიკის ობიექტებზე სულ სტუდენტთა მაქსიმალური მიღებისუნარიანობა იქნება - 20 სტუდენტი (პრაქტიკის ობიეტზე პრაქტიკული ნაწილის განხორციელება სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მე-2 სასწავლო წელს).

შპს ,,იბერიფარმა+“-ის წარმომადგენელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში სააფთიაქო ქსელს გამოყოფილი აქვს 2 ფილიალი, სადაც სწავლების პროცესს უზრუნველყოფენ ამ პროგრამისთვის სპეციალურად შერჩეული აფთიაქის მენეჯერები. მენეჯერების დასაქმება ამ პოზიციაზე განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: ფარმაცევტებისგან განსხვავებით აფთიაქის მენეჯერს აქვს უცვლელი სამუშაო გრაფიკი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიმართვიანობისას (განსაზღვრულ დროს) შეუფერხებელ სწავლების პროცესს.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა განმახორციელებლების პირადი საქმეები და ასევე მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ „ფარმაცია (საფთიაქო)“ პროგრამისთვის განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია - 4 (ოთხი) + 1 (ერთი) ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განხორციელებაში კი - 13 (ცამეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ყოველივე ამის გათვალისწინებით, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამისთვის ერთი სასწავლო წლისთვის ოპტიმალურ რაოდენობად განსაზღვრულია **16 პროფესიული სტუდენტი წელიწადში,** შესაბამისად, ორი სასწავლო წლისთვის პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა **დაჯამებული რაოდენობა განისაზღვრება - 32-ით.**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით, რომელთა **შინაარსი არ არის შესაბამისობაში** მოდულის სწავლის შედეგებთან. კერძოდ:

I. **მოდულში „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025**) მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (1. კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“; 2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 282/ნ - „აფთიაქების მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“; 3. „ფარმაცევტული საქმიანობის მენეჯმენტი“ - ნ.ნემსიწვერიძე, თბ. 2008) **ვერ მიიღწევა მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული სწავლის შედეგი 1**, ვინაიდან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 282/ნ - „აფთიაქების მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“ არის ძალადაკარგული და შესაბამისად დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული სწავლის შედეგების მისაღწევასად ახალი ნორმატიული აქტებით ჩანაცვლება.

II. **მოდულში „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“** (0911021) - მითითებულ საგანმანათლებლო რესურსში (ნ. ვეფხვაძე, ჰიგიენა და სამედიცინო ეკოლოგია, თბილისი, 2013; ფარმაცევტული საქმიანობის საფუძვლები - საქ.განათლების ხარისხის განვითარების ერ. ცენტრი. თბ, 2015; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №387/ნ 2009 წლის 24 ნოემბერი, თბილისი, აფთიაქის (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტის) და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობების განსაზღვრის შესახებ; GPP (კარგი სააფთიაქო პრაქტიკა) სტანდარტი; ნარჩენების დამუშავება და უტილიზაცია ყოველდღიურ ლაბორატორიულ საქმიანობაში - ღია სასწავლო რესურსი: http://www.oc-praktikum.de/nop/ka/articles/pdf/WasteTreatmentDisposal_ka.pdf; სამედიცინო მიკრობიოლოგია - ჩიკვილაძე დ, 2016 - ს/N 820), „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №387/ნ 2009 წლის 24 ნოემბერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თბილისი, აფთიაქის (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტის) და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობების განსაზღვრის შესახებ“ არის ძალადაკარგული, **ვერ უზრუნველყოფს მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევას** და შესაბამისად <u>დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევა ახალი ნორმატიული აქტების ჩანაცვლებით.</u> ასევე, ამ მოდულის ადაპტირებისას გასათვალისწინებელია, რომ საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე უნდა განხორციელდეს მოდულის არანაკლებ 1 კრედიტის შესაბამისი ნაწილი.

III. **მოდულში „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (0911012)** - მითითებულ საგანმანათლებლო რესურსებში -(1. შ. გრძელიშვილი, სამედიცინო და ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა, თბილისი, 2006; 2. „საქართველოს ფარმაკოლოგიური ფორმულარი“, თბ, 2010; 3. „ფარმაცევტული საქმიანობის საფუძვლები“ - საქ.განათლების ხარისხის განვითარების ერ. ცენტრი. თბ, 2015; 4. „მზა წამალთფორმების ტექნოლოგია“ (პრაქტიკული კურსი) - ა.ბაკურიძე, ლ.მიქაია, ნ.ქურდიანი, ნ.ცაგარეიშვილი, ი.წურწუმია, ლ.ბაკურიძე, თბ, 2020; 5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 თებერვალი ბრძანება N01-4ნ „ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში) ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი ოდენობით, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“) „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 თებერვლის ბრძანება N01-4ნ „ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში) ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი ოდენობით, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ არის ძალადაკარგული, **ვერ უზრუნველყოფს მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევას** და შესაბამისად დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევა ახალი ნორმატიული აქტების ჩანაცვლებით.

IV. **მოდულში „მიკრობიოლოგიის საფუძვლები” (0911008)** - სტანდარტულ ნაწილში მითითებული სასწავლო რესურსებიდან ამოიღონ სწავლის შედეგების მისაღწევასად სამართლებრივი აქტები: 5. სამართლებრივი აქტი - სამედიცინო ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ; 6. სამართლებრივი აქტი - ზოგიერთი სამედიცინო ჩარევის ჩატარებამდე პაციენტისაგან წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღების შესახებ; 7. სამართლებრივი აქტი - სამედიცინო დაწესებულებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს სტუქტურისათვის ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების შესახებ; 8. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ; 9. „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა“ (გზამკვლევი) - მ. კვაჭაძე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ი. მანჯავიძე, ნ. კვანტალიანი, ნ. მირზიკაშვილი, ნ. გვენეტაძე, გ. აზაურაშვილი; 10. „ინფექციური კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში“ ავტორთა ჯგუფი - პ. იმნაძე, დ. წერეთელი, ე. ცერცვაძე, ი. ბურჯანაძე, მდადუა, ნგოგაძე, მ. გელენიძე, ქ. კინწურაშვილი, გ. გეგელაშვილის 2008 წ

V. **მოდულში „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები (0911013**) - მითითებული საგანმანათლებლო რესურსი - (1. ორგანული ქიმია - ბ.არზიანი, თბ, 2014 2. სამედიცინო ქიმია - ბ.არზიანი, თბ, 2019 3. სამედიცინო ქიმიის პრაქტიკუმი - ბ.არზიანი, თბ, 2010 4. ფიზიკური და კოლოიდური ქიმია - ლ.ბერიძე, თბ, 2014; 5. სამედიცინო ბიოფიზიკა ტ.1 - თ.სანიკიძე, თბ, 2020) **ვერ უზრუნველყოფს მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევას** და შესაბამისად დაემატოს სავალდებულო ლიტერატურა (რომელსაც დაწესებულება ფლობს) „ქიმიური ექსპერიმენტის ტექნიკა“, ელიზბარ ელიზბარაშვილი, თბილისი 2012, **<u>რომელიც უზრუნველყოფს მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული სწავლის მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 შედეგების სრულყოფილ მიღწევას,</u>**

VI. **მოდულში „მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“ (0911010)** მითითებული საგანმანათლებლო რესურსით (1. „ჰისტოლოგია“ 1 და მე-2 ნაწ, - რუხაძე, 2009 წ - ს/ნ 814, 815; 2. „სამედიცინო გენეტიკა“ - მ.ჭიპაშვილი, ნ.მოროშკინა, თბ, 2010; 3. „გენეტიკა სამედიცინო სპეციალობების სტუდენტებისათვის“ - კარენ ვიპონდი, 2014; 4. „ეპიგენეტიკური რევოლუცია, როგორ ცვლის თანამედროვე ბიოლოგია ჩვენს წარმოდგენებს გენეტიკაზე, დაავადებებზე და მემკვიდრეობაზე“ - ნესა ქერი, 2014) **<u>ვერ მიიღწევა მოდულის სტანდარტულ ნაწილში მითითებული სწავლის შედეგი - 4</u>**

<u>დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია:</u> **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში („ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“ (0911025), „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ (0911021), „მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (0911012), „მორფოლოგიის და მემკვიდრეობის საბაზისო საკითხები“ (0911010), „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები (0911013)) განხორციელებისათვის გათვალისწინებული რესურსების ჩანაცვლება მოხდეს ახალი ნორმატიული აქტებით.**

მოდულში ,,მიკრობიოლოგიის საფუძვლები'' (0911008) - სტანდარტულ ნაწილში მითითებული სასწავლო რესურსებიდან ამოიღონ სამართლებრივი აქტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. ***საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.***

პროგრამას არჩევითი მოდულები არ გააჩნია.

6. ***საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.***

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ, რომელსაც აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“-ის შესაბამისად.

7. ***პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.***

„ფარმაცია (სააფთიაქო)“ (0916) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „ფარმაცია (სააფთიაქო)“ / Pharmacy, სარეგისტრაციო ნომერი 09110-პ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „არისი“-ს მისია;
2. შპს „არსი“-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. შპს „არსი“-ს სასწავლო პროცედურათა წესი (დებულებათა კრებული, სტუდენტის ცნობარი) ბრძ. N1–1-60, 26.10.2020;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“;
5. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ, ბრძანება N1-64, 04.11.2020;
6. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი, ბრძანება N 1-18, 25.04.2016;
7. ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის შპს „არსი“-ს მიერ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების შესახებ (N1-64.1,04.11.2020);
8. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები;
9. ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☑ **არ შეესაბამება**

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რსეურსი და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან, რომლის ფარგლებშიც ორივე (შპს „ემ ფარმა“ და შპს „იბერიფარმა+“) სააფთიაქო ქსელი იღებს ვალდებულებას პროგრამით გათვალისწინებული 8 (რვა) პროფესიული მოდულების პრაქტიკული ნაწილის განხორციელებას, კერძოდ:

1. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
2. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;
3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;
4. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;
5. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;
6. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;
7. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება;
8. ფარმაკოლოგია.

პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებებს ახლავს მოდულის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. ხელშეკრულების დანართით დგინდება პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მატერიალური რესურსით სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა და გარანტიები, პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

„ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამისთვის განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია - 4 (ოთხი) + 1 (ერთი) ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 13 (ცამეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა განმახორციელებლების პირადი საქმეები, რომლის საფუძველზეც შემოწმდა მათი პირადი საქმეები, კვალიფიკაცია და დატვირთვა. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებას, რაცშეეხება შეფასების კომპეტენციას - ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვაზე: რამდენად იცნობდნენ შეფასების მექანიზმებს, რამდენიმე პროფესიული მასწავლებელი, რომელიც პირველად ჩაერთო პროფესიულ სწავლებაში, ნაკლებად ერკვეოდა შეფასების კომპეტენციაში.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეს დამატებითი ტრეინინგი კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები, კომპეტენციები და უნარები. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, ასევე მას აქვს მოდულური პროგრამით სწავლების გამოცდილება, იცნობს მოდულის სპეციფიკას (ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები), შეფასების ფორმებს და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაც არაა მისთვის უცხო.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კოლეჯში ინახება წიგნადი ფონდის აღრიცხვის საინვენტარო წიგნი, წიგნადი ფონდი დამუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერები და ინტერნეტი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით და დადგინდა, რომ შესაძლებელია მათი გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულებას სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-სთან (www.matsne.gov.ge) დადებული აქვს ხელშეკრულება სისტემატიზებული სახით ნორმატიული აქტების გაცნობის შესახებ. ხელშეკრულება მოქმედებს 2020 წლის 22 ოქტომბრიდან ერთი წლის განმავლობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი გამოთქვამს მზადყოფნას სსსმ პირების მომსახურებისთვის, კერძოდ, კოლეჯში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. კოლეჯის ადმინისტრაცია სსსმ და შშმ პირების შეუფერხებელი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით - მოახდენს შესაბამისი მატერიალური, ადამიანური, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო რესურსებით პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერას. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (N 1-22 / 07.07.2020), სტუდენის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: შპს „არსის“ სტუდენტს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, უფლება აქვს მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; შშმ პირმა/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს; განცხადებაში უნდა მიუთითოს ის მიზეზები, რის გამოც ითხოვს სტუდენტი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სპეციალური საჭიროების მქონე გარემოებების აღწერა და შესაბამისი დოკუმენტაცია; სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი მიმართავს სასწავლო პროცესის მენეჯერს - გაუწიოს ორგანიზება შეხვედრებს პროგრამის ხელმძღვანელთან, მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან. პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული მასწავლებლების თანხმობის შემთხვევაში, სტუდენტი, სპეც. კოორდინატორის, სასწავლო პროცესის მენეჯერის და პროგრამის ხელმძღვანელის შემადგენლობით ადგენს სავარაუდო ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას; სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების შესახებ, სასწავლო პროცესის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის მართვის მენეჯერის არგუმენტირებული და დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს, როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ცალკეული მოდულებისთვის; სასწავლო მასალების მიწოდება ხდება სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რაც შეიძლება მოიცავდეს: ელექტრონული სწავლების ფორმის ელემენტების გამოყენებას სასწავლო პროცესში; შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ადაპტირებულ შეფასების ფორმატის: ზეპირი, წერითი, ტესტური, ელექტრონული გამოკითხვა-შეთავაზება. სპეციალურ საჭიროებებზე მისადაგებული სივრცისა და სერვისების შეთავაზებას და ა.შ. კოლეჯის დირექტორის და სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მენეჯერის და ხარისხის მართვის მენეჯერის ერთობლივი გადაწყვეტილებით, შშმპ-ის საჭიროებების გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო პროცესში სპეციალური უნარების მქონე პირების ჩართულობა.

სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მონიტორინგს უწევს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებას, რის საფუძველზეც ადგენს ანგარიშს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს, ხოლო დირექტორი წარმოდგენილ ანგარიშს შესაფასებლად გადასცემს ხარისხის მართვის მენეჯერს და, საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის მართვის სამსახური, სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, ამზადებს ცვლილებას სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებამ წარმოადგინა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები, მასში გაწერილია მისი განხორციელების რენტაბელობის ზღვარი, რომელიც განსაზღვრულია 8 პროფესიული სტუდენტის გადასახადით, ხოლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა (32 პროფესიული სტუდენტი) აღემატება რენტაბელობის ნორმას, რისი მარჟის ზემოთაც უკვე პროგრამა მოგების და შესაბამისად - გაუმჯობესების უფრო მაღალი სტანდარტის პოტენციალს დააფიქსირებს. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“;
2. შპს „არსი“-ს სსსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, ბრძ. N1-22, 07.07.2020;
3. შპს „იბერიფარმა+“-თან და შპს „ემ ფარმა“-სთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები;
4. პროგრამის ბიუჯეტი;
5. დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების შესახებ (პროგრამის დანართი 1.3);
6. დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის მატერიალური რესურსის შესახებ (პროგრამის დანართი 1.4);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
8. პედაგოგიური პერსონალის პირადი საქმეები;
9. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი და ნასყიდობის ხელშეკრულებები;
10. სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-სთან (www.matsne.gov.ge) დადებული ხელშეკრულება (22.10.2020);
11. ვიზუალური დათვალიერებით;
12. გასაუბრებით.

შეფასება:

☑**შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.***

შპს „არსი“-ს მიერ დაიგეგმა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის კვლევა, რომელიც 3 ეტაპად განხორციელდა. რუსთავის და ზოგადად, ქვემო ქართლის რეგიონის შრომის ბაზრის ხვედრითი წილი სააფთიაქო სექტორის დიდ პროცენტს მოიცავს. შრომის ბაზრისგან არის დიდი ინტერესი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

მათთვის ფარმაცევტის კვალიფიციური კადრის მიწოდების - რაზეც მეტყველებს ფორმალურ თუ არაფორმალურ რეჟიმში ურთიერთობა შრომის ბაზრის რეგიონალურ წარმომადგენლებთან. შპს „არსი“-ს შესაბამისი პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულთა თუ პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებისა და მათ ორგანიზაციში მოზიდვის მიზნით და ასევე დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ წარმოებული გამოკითხვები შესაბამისი შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან. პროგრამის დასრულების შემდეგ კოლეჯი ყოველთვის იღებს უკუკავშირს პროფესიული სტუდენტები-სგან, პროფესიული მასწავლებლებისგან და პარტნიორი ორგანიზაციებიდან კმაყოფილების კვლევის საფუძველზე. ასევე, კოლეჯი ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და ახორციელებს კვლევას დასაქმებულთა შესახებ.

2. *პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.*

დაწესებულებას შემუშავებული აქვს და დირექტორის 2019 წლის 4 ოქტომბრის N 1-47 ბრძანებით კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები“. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შეფასების წესის მეთოდური და შინაარსობრივი საფუძვლის შექმნა; შეფასების სისტემის ელემენტების, შეფასების სისტემის განხორციელების პროცედურების დადგენა და შეფასების შედეგების ანალიზის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შეფასებას საფუძვლად უდევს შემდეგი ძირითადი პრინციპები: ა) შეფასების ობიექტურობა; ბ) შეფასების პროცესის გამჭვირვალობა; გ) შეფასების შედეგების საჯაროობა; დ) შეფასების დამოუკიდებლობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს დემინგის ციკლის პრინციპით - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება განხორციელდება ყოველწლიურად. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შედეგებს წარუდგენს დირექტორს; შეფასების შედეგები განიხილება კოლეჯის დირექტორთან და სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილებები ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სწავლების ხარისხის შეფასებისთვის მოწმდება: 1. საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები; 2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პიროვნული და პროფესიული მახასიათებლების შეფასება, პროფესიული მასწავლებლის სასწავლო მეთოდები, სასწავლო პროცესის დაგეგმარება; 3. სასწავლო გარემო და რესურსები/პრაქტიკის ბაზა; გარემოსა და რესურსების რელევანტურობის შეფასება პროგრამის ადეკვატური განხორციელების კონტექსტში; 4. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უკუკავშირი კონკრეტული მოდულთა, სასწავლო პროგრამის განხორციელების კონტექსტში; 5. კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით. თითოეული შესაფასებელი მიმართულება ფასდება საკვანძო კომპონენტით. გარე ფაქტორების ანალიზი ფასდება: ა) ანალოგიური პროგრამის განმახორციელებელი სხვა დაწესებულების გამოცდილება პროგრამის განხორციელების ფარგლებში; ბ) სხვა სასწავლებლის პარტნიორობა და დასაქმების მაჩვენებელი; გ) პროგრამის კონკურენტუნარიანობის და ცალკეული კომპონენტების ხარისხი მშობლიური კოლეჯის და სხვა კოლეჯის კონტექტში; დ) სხვა კოლეჯის საუკეთესო შედეგის გამოცდილება; ე) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან კოლეჯისთვის კონკრეტული პროგრამისთვის მიღებული რეკომენდაციები/გადაწყვეტილებები.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მხრიდან სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის შეფასება ციკლური ხასიათისაა, იგი ხორციელდება სასწავლო პროცესის დასაწყისიდან სასწავლო წლის ბოლომდე; სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს ჩატარებული კვლევების შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. კერძოდ, ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში - რესურსების, განმახორციელებელი პირების კომპეტენციის თუ რა ოდენობის, პრაქტიკის ობიეტების მზაობის შეფასების და ა.შ - კუთხით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები“ (ბრძ. N1-47, 04.10.2019);

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა, პროგრამის მოდიფიცირების/ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (ბრძ. 1-18, 25.04.2016);

შეფასება:

- ☑ **შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.***

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შედგენილია ერთი სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების შესაბამისად. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულების წინაპირობები და პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. გათვალისწინებულია მოდულების განხორციელების თანამიმდევრობა - წინაპირობების დაცვით, კვირობრივი დატვირთვა დაცულია 40 საათიანი მაქსიმალური ზღვარით, რაც თანხვედრაშია ,,საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცედურათა წესის“ V ნაწილის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ჩანაწერთან, რომლის თანახმადაც თავად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ყოველკვირეული დატვირთვა, რაც შეადგენს 30-40 საათს.

სასწავლო გეგმაში სრულად არის მითითებული მოდულის განხორციელების ადგილი.

ა) ქართულენოვანთათვის პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი, 2 წელი (19 - სასწავლო თვე);

ბ) არაქართულენოვანთათვის პროგრამის მოცულობა: 150 კრედიტი, ხანგრძლივობა: 2,5 წელი (24 - სასწავლო თვე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

2. *პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.*

შპს „არსი“ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. „სასწავლო დებულებები პროცედურათა წეს“-ში და „პროფეულ სტუდენტთა კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფის წეს“-ში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების უზრუნველყოფა, რომელთა ანალიზის საფუძველზე ხდება შემდგომი პროცესების დაგეგმვა.

3. *სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.*

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. თვითშეფასების წარმოდგენილ ანგარიშში არის ჩანაწერი - „მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მეთოდები მთლიანად ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; ასევე კოლეჯის შინაგანაწესში შევიდა ცვლილება - პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე საჭიროების შემთხვევაში ონლაინ-სწავლების დანერგვა-გამოყენების შესახებ“.

4. *პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.*

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. შპს „არსი“-ს დირექტორის 2020 წლის 7 ივლისის N1-22 ბრძანებით დამტკიცებულია - „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია“, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს, რომელიც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და შედეგების ცვლილებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. ***პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.***

კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან (შპს „ემ ფარმა“ და შპს „იბერიფარმა+“) დასტურდება შესაბამისი თანამშრომლობის ხელშეკრულებებით. ორივე პარტნიორი ორგანიზაციის მიერ მისაღებ სტუდენტთა ჯამური რაოდენობა შეადგენდა 20 სტუდენტს (შპს „ემ ფარმა“ - 12 პროფესიული სტუდენტი, შპს „იბერიფარმა+“ – 8 პროფესიული სტუდენტი).

ხელშეკრულებით განსაზღვრული მოდულის სწავლის შედეგების განსაზღვრული საათები რელევანტურია სწავლის შედეგების მიღწევისთვის (270 საათი).

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, კერძოდ C გარემოში დამონტაჟებულია სპეციალური გამწოვი მოწყობილობა სპეციალური სამუშაო მაგიდით, რომელიც ცდის ჩატარების პროცესში (კერძოდ, აირადი ნივთიერებების, ორთქლის, შეწონილი ნაერთების, მავნე, მომწამლავ და მბოლავ, ადვილად აალებად ნივთიერებებთან მუშაობისას) უზრუნველყოფს სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლის უსაფრთხო გარემოს შექმნას. C გარემოში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების მანიშნებელი და უბედურ შემთხვევის დროს პირველადი დახმარების წესები.

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, აგრეთვე ლაბორანტი, რომელიც აწარმოებს სტუდენტთა ქცევის ზედამხედველობას ლაბორატორიაში მათი სათანადო უსაფრთხოდ მუშაობის წესის დაცვით შემოსვლას/აღჭურვისა და უსაფრთხოდ მუშაობის შესახებ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს: ა) ლაბორატორიაში მუშაობის წესები და ბ) ნარჩენების უტილიზაციის წესები, რომლებიც აღწერილია კოლეჯის ლაბორატორიაში მუშაობის წესი/ნარჩენების დამუშავება და უტილიზაცია ყოველდღიურ ლაბორატორიულ საქმიანობაში.

არსებობს დასკვნა შპს „არსი-ს კუთვნილი ფართის მდგრადობის და უსაფრთხოების შესახებ - რომელიც გაცემულია კომპეტენტური და აკრედიტებული ორგანიზაციის „მშენ-ექსპერტი“-ს მიერ, შემოწმების თარიღი - 29.02.2020. კოლეჯში ფუნქციონირებს უსაფრთხოების წესები და ლაბორატორიაში ქცევის წესები.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასაწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

მომსახურების შესახებ) შპს „ეკომედთან“, რომელიც უზრუნველყოფს - არასარისკო და სარისკო ნარჩენების (გარდა რადიაციული) სეპარირებულ და მარკირებულ მდგომარეობაში სახიფთო ნაჩენების გატანას. ხელშკრულება დადებულია 2020 წლის 16 ნომემბერს უვადოდ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“;
2. სასწავლო გეგმა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ – 0916;
3. საგანმანათლებლო პროგრამის დანართი 1.4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
4. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებები;
5. შპს „არს“-ში სასწავლო და სამუშაო უსაფრთხოების ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესის დადგენის შესახებ (ბრძ. N 1-41, 20.08.2019)
6. შპს „არსი“-ს ლაბორატორიაში მუშაობის წესი/ ნარჩენების დამუშავება და უტილიზაცია ყოველდღიურ ლაბორატორიულ საქმიანობაში;
7. შპს „ეკომედთან“ დადებული ხელშეკრულება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ;
8. ინტერვიუირება.

შეფასება:

☑ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.***

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმადაც შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

2. ***პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.***

კოლეჯს შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია შპს „არსი“-ს სასწავლო პროცედურათა წესი /დებულებათა კრებული/ /სტუდენტის ცნობარი/ (ბრძ. N1 – 1-60, 26.10.2020) და „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები“ (ბრძ. N1-1-47, 04.10.2019), ვერიფიკაციის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც ახდენს ვერიფიკაციის პროცესის კოორდინაციას და პასუხისმგებელია ვერიფიკაციის როგორც პროცესზე ასევე შედეგზე.

2. ***პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.***

შპს „არსი“-ს სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/ სტუდენტთა ცნობარი/ (ბრძ. N 1- 1-60, 26.10.2020) VI თავის, ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი, სადაც ვკითხულობთ, რომ დოკუმენტაციის სახით არსებული პროდუქტი, როგორც შედეგი (მაგ: ტესტები, პროექტები, მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება შექმნიდან არანაკლებ 3 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამავლობაში რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით. პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით, უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება შექმნიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი დასხვა) რჩება დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისათვის; პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, უნდა დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო გამოსახულების სახით, რაც ინახება არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, შემდეგ ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებაში საგანმანათლებლო მიზნებისათვის, ხოლო პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (ბრძანება N 1-18, 25.04.2016) V თავის კ) პუნქტში მითითებულია მტკიცებულებების დაცულობის და შენახვის 5 წლიანი ვადა.

დაწესებულებას ექსპერტტა მიერ მიეცა რეკომენდაცია - ***შპს „არსი“-ს სასწავლო პროცედურათა წესი/დებულებათა კრებული/ სტუდენტთა ცნობარი/ (ბრძ. N 1- 1-60, 26.10.2020) VI თავის, ბ) ქვეპუნქტი და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (ბრძანება N 1-18, 25.04.2016) V თავის კ) პუნქტი ერთმანეთის თანხვედრაში უნდა იქნას მოყვანილი.***

3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათი უკუკავშირი კონკრეტულ მოდულთა, სასწავლო პროგრამის განხორციელების კონტექსტში ფასდება:

ა) პროფესიული სტუდენტის უკუკავშირი კონკრეტული მოდულის/ ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;

ბ) პროფესიული სტუდენტის ჩართვის ხარისხი პროფესიული მასწავლებლის მიერ დასახულ სასწავლო აქტივობებში;

გ) პროფესიული სტუდენტის უკუკავშირის რელევანტურობის ხარისხი მასწავლებლის მიერ მიწვდილ თემატიკაზე;

დ) პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების ხარისხი კონკრეტული მოდულების, ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ე) პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების ხარისხი საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში;

ვ) პროფესიული სტუდენტის სხვა საჭიროებების ანალიზი პროგრამის განხორციელებისთვის უკეთესი შედეგების მისაღებად;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯი „არსი“-ს სასწავლო პროცედურათა წესი /დებულებათა კრებული/სტუდენტის ცნობარი. ბრძ. N1 – 1-60, 26.10.2020;
2. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების წესი და დამტკიცების პროცედურა; პროგრამის მოდიფიცირების/ ან მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი, ბრძ. N 1-18, 25.04.2016;
4. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები, ბრძ, N1 –47, 04.10.2020;

შეფასება:

☑ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☑

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. **დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი**

თარიღი: **31.12.2020**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: